

Covid19 and its Impact on Contraceptive Methods

Veronika Tsetskhladze¹, Natia Kvaratskhelia²

The University of Georgia

¹Health Administrator, MPH(s)

²MD, MPH, PhD, Associate Professor

Summary

The review represents problems and issues, connected with a contraception in Georgia. Here is described recommendations derived from many different countries, which is desired to be implemented during a pandemic condition. Recommendations change not only the communication form between doctor and patient, but also a method of contraception. An issue of research about contraceptive methods during Covid conditions in Georgia has been arisen.

Review

The coronavirus pandemic, has made the world health facing vital challenges and reproductive health is not an exception. Contraception is internationally accepted as an essential component of women’s health care, that improves reproductive autonomy and protects a woman from unplanned pregnancy. There are some well-known contraceptives in the world such as: oral contraceptive pill; male and female sterilization; Implants; Diaphragm; Female and male condom (9 types of contraception you can use to prevent pregnancy, 2021; Kimberly & Joyce, 2020).

According to the results of the MICS (Multiple Indicator Cluster Survey) conducted in 2018, usage of contraceptives in Georgia, is distributed as follows: 32.9% modern contraceptives (diaphragm, oral contraceptive pill, implants, female and male condom and sterilization); 13.8% male condom; 7.8% IUD (intrauterine device); 5.2% oral contraceptive pill; 3.3% female sterilization; 7.9% traditional contraceptive (stopped sexual act, periodical desist, period of menstruation). (see picture)

Epidemics related changes in population behavior on one hand and, on the other hand, availability of health services are changing the family planning, especially for low and middle-income countries (Ferreira ALCG, 2020). An obvious example of this view was Zika and Ebola Epidemics. Morbidity and mortality rates related to above mentioned factors among the women of reproductive age was higher than the epidemic factors (Mitigating Covid 19 on sexual and reproductive health and rights in low and middle-income countries, 2021).

კოვიდ19 და მისი გავლენა კონტრაცეფციის მეთოდებზე

ვერონიკა ცეცხლაძე¹, ნათია კვარაცხელია²

საქართველოს უნივერსიტეტი

¹ჯანდაცვის ადმინისტრატორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრანტი

²ხელმძღვანელი, ექიმი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

რევიუმში წარმოდგენილია საქართველოში კონტრაცეფციასთან დაკავშირებული საკითხები და პრობლემები. აღწერილია სხვადასხვა ქვეყნის მიერ მოწოდებული რეკომენდაციები, რომელიც პანდემიის პირობებში სასურველია განხორციელდეს. რეკომენდაციები ცვლის როგორც ექიმის და პაციენტის კომუნიკაციის ფორმას, ასევე კონტრაცეფციის მეთოდს. სტატიაში წამოჭრილია საკითხი საქართველოში კოვიდის პირობებში კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ კვლევის თაობაზე.

მიმოხილვა

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ მსოფლიო ჯანდაცვა განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დააყენა, გამონაკლისი არც რეპროდუქციული ჯანმრთელობაა. კონტრაცეფცია საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია, როგორც რეპროდუქციული ასაკის ქალთა ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელი კომპონენტი, რომელიც აუმჯობესებს რეპროდუქციულ ავტონომიას და იცავს ქალს არასასურველი ორსულობისგან. მსოფლიოში აპრობირებულია ისეთი კონტრაცეპტივები როგორცაა: ორალური კონტრაცეფცია (აბები); როგორც ქალის, ასევე მამაკაცის სტერილიზაცია; იმპლანტები; დიაფრაგმა; ქალისა და მამაკაცის კონდომი (9 types of contraception you can use to prevent pregnancy, 2021; Kimberly & Joyce, 2020). 2018 წელს ჩატარებული MICS (Multiple Indicator Cluster Survey) მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის შედეგების მიხედვით საქართველოში გამოყენებული კონტრაცეპტივების საშუალებები გადანაწილებულია შემდეგნაირად: 32.9% თანამედროვე კონტრაცეფციული საშუალებები (დიაფრაგმა, სანთელი, აბები, იმპლანტები, საშვილოსნოს შიდა სპირალი, მამაკაცის და ქალის პრეზერვატივი, მამაკაცის და ქალის სტერილიზაცია); 13.8% მამაკაცის კონდომი; 7.8% საშვილოსნოს შიდა სპირალი; 5.2% ორალური

During Lockdown is natural for couples to get closer and increase sexual activity. The reality makes it crucial to use effective contraceptives properly, which is carried out through: informing society, supplies of contraceptives, customer solvency and adequate communication with medical professionals. According to the World Health Organization, the use of contraceptives during Ebola pandemic was reduced by 65 % in Liberia. The main reason of this was unemployment (Improving contraceptive access in Liberia, 2021).

Different countries such as: USA, Canada, UK, France, Australia, China, South African countries, Nepal related to contraceptives during the pandemic use modified alternatives. In particular, long-term contraceptives are preferred in case of healthy women, which reduces the number of visits in medical institutions. Remote consultations are offered in most cases. In case of using injectable contraceptives provision with videos, with purpose of proper injection is recommended (Bateson Deborah J et al, 2020).

No detailed information related to this subject is accessible for Georgia nowadays, but we know, that before the Covid19 infection using contraceptives was very low. From 2010 to 2018 usage of all types of contraceptives decreased from 53.4% to 45.4% and usage of traditional contraceptives declined 15-44 years old married woman or women, who lives with a partner from 18.5% to 8.5% (MICS, 2019).


Unrealized/incorrect contraception is logically connected to stressful situations, unplanned pregnancies, abortions that lead to serious health problems (Bateson Deborah J. et al, 2020).

Conclusions

Due to an actuality of the topic, it is necessary to analyze the possible changes related to the methods of contraception in Georgia under the conditions of Covid19 pandemic, as both for healthy and covid19 infected women in reproductive age. A contraception related results of 2020 statistics should be analyzed. In order to gain a knowledge a survey should be held, which examines possible changes in contraceptive methods and use during covid conditions.

Keywords: Covid19, reproductive health, unplanned pregnancy, contraception

კონტრაცეპტივი; 3.3% ქალთა სტერილიზაცია; 7.9% ტრადიციული კონტრაცეფცია (არასრული, შეწყვეტილი სქესობრივი აქტი, პერიოდული თავშეკავება, ციკლური მეთოდი) (იხ. სურათი). ეპიდემიები და მასთან დაკავშირებული ერთი მხრივ - მოსახლეობის ქცევის ცვლილებები, მეორეს მხრივ _ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის საკითხები, ცვლის ოჯახის დაგეგმარებასთან დაკავშირებულ მოცემულობებს, რაზეც კოვიდ პანდემიამდე არსებული მაგალითებიც მეტყველებს. ცვლილებები მეტი კონტრასტით აისახება დაბალ და საშუალო შემოსავლიან ქვეყნებზე (Ferreira ALCG, 2020). აღნიშნული მოსაზრების ნათელი მაგალითია ზიკა და ებოლას ეპიდემიები. ზემოთ აღნიშნული მიზეზებით გამოწვეული რეპროდუქციული ასაკის ქალთა შორის ავადობის და სიკვდილიანობის მაჩვენებელი უშუალოდ ეპიდემიით გამოწვეულ ფაქტორზე მაღალი იყო (Mitigating Covid 19 on sexual and reproductive health and rights in low and middle income countries, 2021). ფიზიკური დისტანცირების, იზოლირებისა და სახლიდან მუშაობის პირობებში ბუნებრივია წყვილების უფრო მეტად დაახლოება და სქესობრივი აქტივობის გაზრდა. ასეთი რეალობა განსაკუთრებით ზრდის ეფექტური კონტრაცეპტივების სწორად მოხმარების საჭიროებას, რაც ხორციელდება: სწორი ინფორმირებულობით, ეფექტური კონტრაცეპტივების მარაგებით, მომხმარებლის გადახდისუნარიანობით, მედიცინის პროფესიონალებთან ადეკვატური კომუნიკაციით. ეპიდემიის პირობებში, თითოეულ ფაქტორთან მიმართებაში დისკარმონიის რისკი მნიშვნელოვნად მატულობს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ებოლას ეპიდემიის პერიოდში ლიბერიაში 65 %-ით იყო შემცირებული კონტრაცეპტივების გამოყენება, რომლის ძირითად მიზეზად სახელდება უმუშევრობით გამოწვეული უსახსრობა (improving contraceptive access in Liberia, 2021). სხვადასხვა ქვეყნები: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, ჩინეთი, სამხრეთ აფრიკის ქვეყნები, ნეპალი კოვიდ პანდემიის პირობებში კონტრაცეფციასთან მიმართებაში ხელმძღვანელობს მოდიფიცირებული ალტერნატივებით. კერძოდ, ჯანმრთელ ქალებში უპირატესობა ენიჭება გრძელვადიან კონტრაცეპტივებს, რაც ამცირებს კლინიკებში ვიზიტების რაოდენობას. ასევე ხორციელდება კონსულტაციების დისტანციურ რეჟიმში ჩატარება. ინექციური კონტრაცეფტივების გამოყენების შემთხვევაში ვიდეორგოლების ხელმისაწვდომობა, ინექციის სწორად ჩატარების თვალსაზრისით (Bateson Deborah J et al, 2020).



Picture: % Of contraceptive users in Georgia in 2018
Source: MICS-2019, Multi-Indicator Cluster Survey, Mics Georgia 2018

References

1. 9 types of contraception you can use to prevent pregnancy in <https://www.health.qld.gov.au/news-events/news/types-contraception-women-condoms-pill-iud-ring-implant-injection-diaphragm>
2. Bateson Deborah J, Loh Patricia A, Norman Wendy V, Moreau Caroline, Gemzell-Danielsson Kristina, Blumenthal Paul D, Hoggar Lesley, LiHang-Wun Raymond, Abigail R A Aiken, Kirsten I Black: The impact of COVID-19 on contraception and abortion care policy and practice: experiences from selected countries, *BMJ Sex Reprod Health* 2020; 0:1–3. doi:10.1136/bmj.srh-2020-200709
3. Ferreira ALCG, Correa MSM, Pedrosa EN, Silva FACD, Hazin-Costa MF, Souza AI. Does the COVID-19 Pandemic Impact Reproductive Health? *Rev Bras Ginecol Obstet.* 2020 Nov;42(11):774-775. doi: 10.1055/s-0040-1718442. Epub 2020 Nov 30. PMID: 33254275
4. Mitigating covid 19 impacts on sexual and reproductive health and rights in low and middle income countries. <https://pai.org/wp-content/uploads/2020/04/SRHR-and-COVID-4.17-1.pdf>
5. Kimberly Daniels, and Joyce C. Abma- Current Contraceptive Status Among Women Aged 15–49: United States, 2017–2019 , NCHS Data Brief October 2020
6. Improving contraceptive access in Liberia <https://www.clintonhealthaccess.org/blog-post-liberia-contraceptives/>
7. Sexual and reproductive health in Georgia https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/MICS%20report_GEO.pdf


რა ვითარებაა საქართველოში ამ კუთხით კოვიდის პირობებში უცნობია, თუმცა ცნობილია, რომ ეპიდემიამდეც საქართველოში ზოგადად კონტრაცეპტივების გამოყენება რეპროდუქციული ასაკის ქალებში სასურველზე გაცილებით დაბალი იყო. 2010 წლიდან 2018 წლამდე კონტრაცეფციის ყველა ტიპის გამოყენება შემცირდა 15–44 წლის ასაკის დაქორწინებულ ან პარტნიორთან მცხოვრებ ქალებში 53,4% დან 45,4% მდე, ასევე შემცირდა ტრადიციული კონტრაცეფტივებით სარგებლობა 18,5%–დან 8,5%–მდე (MICS, 2019).

განუხორციელებელი/არასწორი კონტრაცეფცია ლოგიკური ჯაჭვით უკავშირდება სტრესულ სიტუაციებს, დაუგეგმავ ორსულობას, აბორტების განხორციელებას და ამ აბორტებით გამოწვეული გართულებების რისკის ზრდას (Bateson Deborah J et al, 2020)

დასკვნა

თემის აქტუალობიდან გამომდინარე საჭიროა იმ შესაძლო ცვლილებების შესახებ კვლევა, რომელიც საქართველოში კონტრაცეფციის გამოყენების მეთოდებს უკავშირდება კოვიდ ეპიდემიის პირობებებში, როგორც ჯანმრთელი ასევე კოვიდით დაავადებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის ასაკის ქალებში. უნდა გაანალიზდეს კონტრაცეფციასთან დაკავშირებული შედეგების 2020 წლის სტატისტიკური მონაცემები. მტკიცებითი ცოდნის მოსაპოვებლად ჩატარდეს კვლევა, რომელიც შეისწავლის კოვიდის პირობებში კონტრაცეფტივების მეთოდების შესაძლო ცვლილებებს.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ19, რეპროდუქციული ჯანმრთელობა, დაუგეგმავი ორსულობა, კონტრაცეფცია.



სურათი: 2018 წელს საქართველოში მომხმარებელთა შორის კონტრაცეპტივების სახეობების გადანაწილება %-ში.
წყარო: MICS, 2019.